



აუდიტორული დასკვნა №20-12/21

შპს „თბილავიამშენის“ 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

- შემსყიდველი: შპს "თბილავიამშენი", ს/კ: 206125496;
- მიმწოდებელი: შპს „რიალ აუდიტი“, ს/კ: 204566996;
- საფუძველი: 2022 წლის 11 მაისს გაფორმებული №2022/5 ხელშეკრულება;
- თარიღი: 2022 წლის 05 ოქტომბერი;

ქ.თბილისი
2022 წ

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა2

მოსაზრების გამოთქმაზე უარი	2
მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი	2
მმართველობის ანგარიშგება	3
ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე	4

1. ფინანსური ანგარიშგება1

1.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
1.2 სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
1.3 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	3
1.4 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
1.5 ახსნა განმარტებითი შენიშვნები	5

მმართველობითი ანგარიშგება16

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "თბილავიამშენი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მოსაზრების გამოთქმაზე უარი

ჩვენ გვევალეობდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შპს "თბილავიამშენის" ("მშობელი საწარმოს") და მისი შვილობილების¹ (ერთობლივად "ჯგუფის") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი"- ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 10-ს მიხედვით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის:- „საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები.“

ასევე, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 600 – „ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის“ მიხედვით:

აუდიტორს მოეთხოვება არსებითი უზუსტობების რისკების დადგენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით. ჯგუფის აუდიტის გარიგების გუნდმა:

- ა) გაიღრმავოს ჯგუფის, მისი კომპონენტებისა და მათი გარემოს შესახებ ცოდნა, მათ შორის ჯგუფის დონის შიდა კონტროლის შესახებ, რომელიც მიიღო გარიგებაზე დათანხმების ან გარიგების გაგრძელების ეტაპზე; და
- ბ) შეისწავლოს კონსოლიდაციის პროცესი, მათ შორის, ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ კომპონენტებისთვის მიცემული შესაბამისი ინსტრუქციები.

ჯგუფის აუდიტის გარიგების გუნდმა საკმარისად უნდა შეისწავლოს ჯგუფი, მისი კომპონენტები და მათი გარემო, რათა:

- ა) დაადასტუროს ან უარყოს მის მიერ წინასწარ გამოვლენილი კომპონენტები, რომლებიც სავარაუდოდ, მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ; და
- ბ) შეაფასოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით განპირობებული არსებითი უზუსტობის რისკები;

წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი ერთ-ერთი შვილობილი საწარმო - სს „თამ თბილავიამშენი“ არის სდპ სტატუსის მქონე სააქციო საზოგადოება. საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

¹ სს „თამ თბილავიამშენი“ და შპს "თამ კერა";

აუდიტის შესახებ“ მე_5 თავის 14 მუხლის მე_5 პუნქტის მიხედვით: - „სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი წესით განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელმაც გაიარა შესაბამისი ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი“, აღნიშნული სტატუსი აუდიტორულ კომპანია შპს რიალ აუდის არ გააჩნია შესაბამისად მოხდა ხელმძღვანელობის ინფორმირება იმის შესახებ რომ ჩვენ ვერ განვახორციელებდით აუდიტორულ პროცედურებს სს „თამ თბილავიამშენში“ მისი სდპ სტატუსიდან გამომდინარე, ვერ გამოვიკვლევდით რისკებს, შიდა კონტროლის ეფექტიანობას, პირველად დოკუმენტებს და ვერ ჩავატარებდით სხვა აუდიტორულ პროცედურებს. ხელმძღვანელობასთან კონსულტაციისა და მათი თანხმობის შემდგომ აღნიშნული დაშვებით გავაგრძელეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ასევე, როგორც ზემოთ აღინიშნა ჯგუფში შემავალი ყველაზე დიდი კომპანია - სს „თამ თბილავიამშენი“ არის სდპ სტატუსის მქონე სააქციო საზოგადოება, რომლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგი არის მოდიფიცირებული მოსაზრება კერძოდ რიგი არსებითი და ყოვლისმომცველი გარემოებიდან გამომდინარე მოსაზრების გამოთქმაზე უარი, რაც თავისმხრივ გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზეც. შესაბამისად აუდიტორული პროცედურების ჩატარებისას ჩვენ დავრწმუნდით რომ ზემოთაღნიშნული საკითხი/დაშვება წარმოადგენს მასშტაბის შეზღუდვას, რომელსაც ყოვლისმომცველი და არსებითი გავლენა აქვს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება, მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი სხვა საკითხების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა, რათა განვსაზღვროთ არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებულ ინფორმაციასთან, ან თუ სხვაგვარად აღმოჩნდება არსებითად შეუსაბამო.

დამატებით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით:

- ✚ ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- ✚ მმართველობის ანგარიშგება ნაწილობრივ მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და ორგანიზაციას მიეცა მითითებები აღნიშნულ ანგარიშგებაში(შემდგომი წლისათვის) შეიტანოს მეტი ფინანსური და არაფინანსური ინფორმაცია, მ.შ ფინანსურ

ანგარიშგებაში არსებული საკითხების დეტალური ჩაშლა, კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების უფრო ფართო მიმოხილვა და საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით მოთხოვნილ სხვა ინფორმაცია.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ჯგუფს არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ✚ ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ✚ ვერკვევით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ✚ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- ✚ განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- ✚ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალ კომპანიების, თუ ბიზნეს აქტივობების ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა გამოგვეხატა მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჯგუფის აუდიტის მართვა, გაძღოლა და სათანადოდ ჩატარება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ პასუხისმგებელად ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

შპს „რიალ აუდიტის“ გარიგების პარტნიორი:
(SARAS-A-956336)

ამირან არსენაშვილი

სახელმწიფო სექტორის აუდიტორი
(სერ. №0423)

არჩილი ჯღამაძე

ქ. თბილისი, გ.ქიქოძის №6/17

05 ოქტომბერი, 2022 წელი

- ✚ ვერკვევით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ✚ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- ✚ განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- ✚ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალ კომპანიების, თუ ბიზნეს აქტივობების ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა გამოგვეხატა მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჯგუფის აუდიტის მართვა, გაძღოლა და სათანადოდ ჩატარება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ პასუხისმგებელად ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

შპს „რიალ აუდიტის“ გარიგების პარტნიორი:
(SARAS-A-956336)

ა. არსილი ამირან არსენაშვილი

სახელმწიფო სექტორის აუდიტორი
(სერ. №0423)

ა. ჩიქაძე არჩილი ჯღამაძე

ქ. თბილისი, გ.ქიქოძის №6/17

05 ოქტომბერი, 2022 წელი



1. ფინანსური ანგარიშგება

1.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „თბილავიამშენი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

აქტივები	31.12.2021	31.12.2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,946,731	1,708,775
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	505,038	505,038
გაცემული სესხები	182,360	182,360
მიმდინარე მარაგები	50,059,287	33,198,387
სავაჭრო მოთხოვნები	16,000,589	21,753,153
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	5,500	5,500
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	8,112,240	8,112,240
სხვა საგადასახადო აქტივი	6,377	10,490
სხვა მიმდინარე აქტივები	11,025,325	15,250,485
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სხვა არამატერიალური აქტივები	32,082,940	31,940,972
ძირითადი საშუალებები	30,711,929	26,847,015
სულ აქტივები	154,638,315	139,514,415
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	55,767,442	45,647,477
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		
მიღებული ავანსები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		
საგადასახადო ვალდებულებები	1,246,000	215,000
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	22,801,417	22,801,417
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13,693,000	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6,887,834	6,855,600
სულ ვალდებულებები	100,395,693	75,519,494
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	64,227,726	64,227,726
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(9,985,104)	(232,805)
სულ საკუთარი კაპიტალი	54,242,622	63,994,921
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	154,638,315	139,514,415

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ/შ _____ გიორგი ზღუდაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე _____ ალექსანდრე ცერცვაძე

ბუღალტერი _____ ზურაბ ძეგისაშვილი

1. ფინანსური ანგარიშგება

1.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „თბილავიამშენი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

აქტივები	31.12.2021	31.12.2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,946,731	1,708,775
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	505,038	505,038
გაცემული სესხები	182,360	182,360
მიმდინარე მარაგები	50,059,287	33,198,387
სავაჭრო მოთხოვნები	16,000,589	21,753,153
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	5,500	5,500
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	8,112,240	8,112,240
სხვა საგადასახადო აქტივი	6,377	10,490
სხვა მიმდინარე აქტივები	11,025,325	15,250,485
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სხვა არამატერიალური აქტივები	32,082,940	31,940,972
ძირითადი საშუალებები	30,711,929	26,847,015
სულ აქტივები	154,638,315	139,514,415
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	55,767,442	45,647,477
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		
მიღებული ავანსები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		
საგადასახადო ვალდებულებები	1,246,000	215,000
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	22,801,417	22,801,417
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13,693,000	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6,887,834	6,855,600
სულ ვალდებულებები	100,395,693	75,519,494
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	64,227,726	64,227,726
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(9,985,104)	(232,805)
სულ საკუთარი კაპიტალი	54,242,622	63,994,921
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	154,638,315	139,514,415

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ/შ

გენერალური დირექტორის მოადგილე

ბუღალტერი



გიორგი ზღუდაძე
ალექსანდრე ცერცვაძე
ზურაბ ძეგისაშვილი

1.2 სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს „თბილავიამშენი“ კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

დასახელება	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	16,549,395	43,391,556
სხვა საოპერაციო შემოსავალი	293,000	244,630
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(15,190,768.00)	(24,259,245.00)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(706,657.00)	(676,991.00)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-	(25,076.00)
საკონსულტაციო ხარჯი	-	(5,082.00)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(2,172.00)	(2,359.00)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(40,131.00)	(38,688.00)
იჯარის ხარჯი	(155,573.00)	(98,524.00)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,451,090.00)	(4,012,402.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(3,936,138.00)	(3,116,025.00)
საოპერაციო მოგება	(8,640,134.00)	11,401,794.00
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(5,298,165.00)	(2,869,655.00)
სხვა ფინანსური შემოსავლები	57,000.00	65,000.00
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(13,881,299.00)	8,597,139.00
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	(13,881,299.00)	8,597,139.00
შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება/(ზარალი)	(13,881,299.00)	8,597,139.00

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ/შ _____ გიორგი ზღუდაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე _____ ალექსანდრე ცერცვაძე

ბუღალტერი _____ ზურაბ ძეგისაშვილი

1.2 სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს „თბილავიამშენი“ კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

დასახელება	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	16,549,395	43,391,556
სხვა საოპერაციო შემოსავალი	293,000	244,630
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(15,190,768.00)	(24,259,245.00)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(706,657.00)	(676,991.00)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-	(25,076.00)
საკონსულტაციო ხარჯი	-	(5,082.00)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(2,172.00)	(2,359.00)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(40,131.00)	(38,688.00)
იჯარის ხარჯი	(155,573.00)	(98,524.00)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,451,090.00)	(4,012,402.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(3,936,138.00)	(3,116,025.00)
საოპერაციო მოგება	(8,640,134.00)	11,401,794.00
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(5,298,165.00)	(2,869,655.00)
სხვა ფინანსური შემოსავლები	57,000.00	65,000.00
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(13,881,299.00)	8,597,139.00
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	(13,881,299.00)	8,597,139.00
შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება/(ზარალი)	(13,881,299.00)	8,597,139.00

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ/შ

გენერალური დირექტორის მოადგილე

ბუღალტერი



გიორგი ზღუდაძე

ალექსანდრე ცერცვაძე

ზურაბ ძეგისაშვილი

1.3 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

შპს „თბილავიამშენი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

დასახელება	ნაშთი 12.31.2021	სადებიტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 12.31.2020
საწესდებო კაპიტალი	137,957,926.00	4,129,000.00	-	133,828,926.00
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(14,570,104.00)	(14,056,981.00)	175,682.00	(688,805.00)
სულ	123,387,822.00	(9,927,981.00)	175,682.00	133,140,121.00

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ/შ

_____ გიორგი ზღუდაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე

_____ ალექსანდრე ცერცვაძე

ბუღალტერი

_____ ზურაბ ძეგისაშვილი

1.3 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

შპს „თბილავიამშენი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

დასახელება	ნაშთი 12.31.2021	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 12.31.2020
საწესდებო კაპიტალი	137,957,926.00	4,129,000.00	-	133,828,926.00
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(14,570,104.00)	(14,056,981.00)	175,682.00	(688,805.00)
სულ	123,387,822.00	(9,927,981.00)	175,682.00	133,140,121.00

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ/მ

გიორგი ზღუდაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე

ადიქსანდრე ცერცვაძე

ბუღალტერი

ზურაბ ძეგისაშვილი



1.4 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

შპს „თბილავიამშენი“

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

დასახელება	31.12.2021	31.12.2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4,237,955.66	(2,576,413.00)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	4,237,955.66	(2,576,413.00)
ფული და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში	1,708,775.00	4,285,188.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5,946,730.66	1,708,775.00

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ/შ _____ გიორგი ზღუდაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე _____ ალექსანდრე ცერცვაძე

ბუღალტერი _____ ზურაბ ძეგისაშვილი

1.4 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

შპს „თბილავიამშენი“

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

დასახელება	31.12.2021	31.12.2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4,237,955.66	(2,576,413.00)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	4,237,955.66	(2,576,413.00)
ფული და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში	1,708,775.00	4,285,188.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5,946,730.66	1,708,775.00

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ/შ

გენერალური დირექტორის მოადგილე

ბუღალტერი



_____ გიორგი ზღუდაძე
 _____ ალექსანდრე ცერცვაძე
 _____ ზურაბ ძეგისაშვილი

1.5 ახსნა განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი ინფორმაცია

შპს „თბილავიამშენი“, საიდენტიფიკაციო კოდი 206125496, მარეგისტრირებული ორგანო ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლო, იურიდიული მისამართი-საქართველო, თბილისი ისანი-სამგორისრაიონი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ., N191. წესდების მიხედვით კომპანიის საქმიანობად განისაზღვრება:

- ✚ სამხედრო და სამოქალაქო საავიაციო ტექნიკისა და შეიარაღების დაპროექტება, დამზადება, გამოცდა, მოდერნიზაცია, რემონტი, ექსპლუატაცია, შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტ-იმპორტი, სასწავლო პროექტების წარმართვა;
- ✚ სამხედრო და სამოქალაქო საავიაციო ტექნიკისა და შეიარაღების სათადარიგო ნაწილების დამზადება-მიწოდება და მომსახურება;
- ✚ სპეცროდუქციის, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების და ფართო მოხმარების საქონლის დაპროექტება, წარმოება, რემონტი, გამოცდა, მოდერნიზაცია, შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტ-იმპორტი;
- ✚ ავტოსატრანსპორტო და საჰაერო გადაზიდვები, მგზავრთა გადაყვანა, მათ შორის საერთაშორისო მარშრუტებით;
- ✚ საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის დაქირავება - გაქირავება;
- ✚ წარმოების საშუალებების ლიზინგი, მათ შორის უცხოელი პარტნიორების მონაწილეობით;
- ✚ საბროკერო და დილერული ოპერაციების განხორციელება;

შპს „თამ-კერა“, საიდენტიფიკაციო კოდი 206274529, მარეგისტრირებული ორგანო ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია, იურიდიული მისამართი-საქართველო, თბილისი ისანი-სამგორის რაიონი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ., N191; კომპანიის საქმიანობებს წარმოადგენს:

- ✚ სხვადასხვა სახის აირიგამათბობლის და წყლის გამათბობლის წარმოება;
- ✚ ფართო მოხმარების საგნების წარმოება და რემონტი;
- ✚ არასტანდარტული მოწყობილობების წარმოება;

სს „თამ-თბილავიამშენი“, საიდენტიფიკაციო კოდი 208144541, მარეგისტრირებული ორგანო ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლო, იურიდიული მისამართი-საქართველო, თბილისი ისანი-სამგორის რაიონი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ., N191; კომპანიის საქმიანობებს წარმოადგენს:

- ✚ საავიაციო ტექნიკის დაპროექტება, დამზადება, გამოცდა, ექსპლუატაცია, შესყიდვა - რეალიზაცია;
- ✚ საავიაციო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების დამზადება - მიწოდება და სერვისული მომსახურება და სხვ.;

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ების) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობისა და პირვანდელი(ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. სხვა ვალუტაში წარმოდგენილი ოპერაციები განიხილება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. ფინანსური მდგომარეობის საბალანსო მუხლები წარმოდგენილია ლიკვიდურობის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისაგან მოითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისაგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები საჭიროებენ მუდმივ გადახედვას.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ასეთი წარდგენა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში, დამრგვალებულია ათასამდე სიზუსტით.

შვილობილი კომპანიები

საზოგადოების მართვაშია მის მიერ დაფუძნებული შვილობილი კომპანიები: სს „თამ თბილავიამშენი“ (სკ: 208144541) - წილი 93% (საავიაციო ტექნიკის დაპროექტება, დამზადება, გამოცდა, ექსპლოატაცია, შესყიდვა - რეალიზაცია. საავიაციო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების დამზადება - მიწოდება და სერვისული მომსახურება და სხვ.); შპს „თამ კერა“ (სკ 206274529) - წილი 100% (სხვადასხვა სიმძლავრის აირგამათბობლების და წყლის გამათბობლების წარმოება. ფართო მოხმარების საგნების წარმოება და რემონტი და სხვა); შპს „თამ ენერჯი“ (სკ 206274501) - წილი 100% (არ ფუნქციონირებს); შპს „თამ პოლიმერი“ (სკ 206285081) - წილი 100% (არ ფუნქციონირებს); შპს „თამ-კარგო“ (სკ 206267467) - წილი 100% (არ ფუნქციონირებს); შპს „ელ სი თი“ (სკ 206336990) - წილი 100% (არ ფუნქციონირებს); შპს „ავიაინტურსპეცმშენი“ (სკ: 206278419) - წილი 50% (არ ფუნქციონირებს); შპს „ჰელითამი“ (სკ: 206279212) - წილი 50% (არ ფუნქციონირებს); შპს „ელვა 1“ (სკ: 206294375) - წილი 50% (არ ფუნქციონირებს); შპს „Global Georgian Airways“ (სკ 206161375) - წილი 50% (არ ფუნქციონირებს); შპს „ბიზნეს ჯგუფი მესხეთი“ (სკ: 206236009) - წილი 8% (არ ფუნქციონირებს); სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ (სკ: 204958000) - წილი 10% (ფუნქციონირებს); სს „თამ აირ“ (სკ: 206310008) - წილი 100% (არ ფუნქციონირებს).

ამ შემთხვევაში კონსოლიდაციას დაექვემდებარა შპს თბილავიამშენი, შპს თამკერას და სს თამ თბილავიამშენის ფინანსური ანგარიშგებები.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

ახალი ფასს-ების მიღება - ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

მიზანია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანგარიშგებისთვის ისეთი პრინციპების დადგენა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს უზრუნველყოფს საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის, მოძრაობის დროსა და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შესაფასებლად შესაბამისი და სასარგებლო ინფორმაციით.

საწარმომ აღნიშნული სტანდარტი უნდა გამოიყენოს ყველა სახის ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ, გარდა:

- + თავიანთი წილისა შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, რომლის აღრიცხვაც დება ფასს10-ის- „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, ბასს 27-ის - „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“, ან ბასს28-ის „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ - მიხედვით;
- + იჯარიდან წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომელთა მიმართაც გამოიყენება ბასს 17 - „იჯარა“;
- + დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების პროგრამებთან დაკავშირებული დამქირავებლის უფლება-მოვალეობებისა, რომლებიც განეკუთვნება ბასს19-ის „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“ - მოქმედების სფეროს;
- + საწარმოს მიერ შექმნილი ფინანსური ინსტრუმენტებისა (ოფციონებისა და გარანტების ჩათვლით), რომლებიც აკმაყოფილებს წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებას ბასს32-ის შესაბამისად, ან რომელთა კლასიფიცირება მოითხოვება წილობრივი ინსტრუმენტად ბასს 32-ის 16ა და 16ბ, ან 16გ და 16 დ პუნქტების მიხედვით;
- + უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოშობილია (1) სადაზღვევო ხელშეკრულებიდან, როგორც განმარტებულია ფასს 4-ში- „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- + მყიდველსა და გამყიდველ აქციონერს შორის დადებული ფორვარდული ხელშეკრულებისა, რომელიც ეხება შეძენის ობიექტისა წარმოსყიდვას ან გაყიდვას და მომავალში შეძენის თარიღისთვის გამოიწვევს საწარმოთა გაერთიანებას, რომელიც განეკუთვნება ფასს3-ის- „საწარმოთა გაერთიანება“- მოქმედების სფეროს;
- + სასესხო ვალდებულებებს
- + აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, ხელშეკრულებებისა და ვალდებულებებისა, რომელთა მიმართაც გამოიყენება ფასს2- „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“;
- + ისეთ დანახარჯების ასანაზღაურებლად საჭირო გადახდის უფლებებისა, რომლებიც საწარმომ უნდა გასწიოს ვალდებულებების დასაფარად, რომლებსაც ანარიცხებად აღიარებს ბასს 37-ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“-ს შესაბამისად;
- + უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც განეკუთვნება ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან“ მოქმედების სფეროს და წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს;

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

სტანდარტის მიზანია იმ პრინციპების დადგენა, რომლებიც საწარმომ უნდა გამოიყენოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად წარმოქმნილი ამონაგებისა და ფულადი ნაკადების ხასიათის, სიდიდის, მათი წარმოქმნის ვადებისა და განუსაზღვრელობის შესახებ საჭირო ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენისთვის. სტანდარტის ძირითადი პრინციპის თანახმად, საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კერძოდ სტანდარტი გვთავაზობს: საწარმომ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ამ

სტანდარტის მოქმედების სფეროს განეკუთვნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღრიცხოს, თუ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია:

- ა) ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების შესრულების ვალდებულება აიღეს;
- ბ) საწარმოს შეუძლია გადასაცემ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;
- გ) საწარმოს შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;
- დ) ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი. მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება საწარმოს სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკი);
- ე) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ანაზღაურების თანხის მიღების ალბათობის შესაფასებლად, საწარმომ უნდა განიხილოს მხოლოდ მომხმარებლის უნარი და განზრახვა, გადაიხადოს მოცემული ანაზღაურების თანხა, მისი გადახდის ვადის დადგომისას. ანაზღაურების ოდენობა, რომლის მიღების უფლებაც საწარმოს აქვს, შეიძლება ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე ნაკლები იყოს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურების სიდიდე ცვალებადია იმის გამო, რომ საწარმომ შეიძლება ფასდათმობა შესთავაზოს მომხმარებელს.

ფინანსური ინსტრუმენტის აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტის რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შ ემდგომში შეფასდება გაყიდვის და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღირიცხება შესყიდული ინსტრუმენტის ანალოგიურად. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულება პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანარიცხები რომლებიც რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები (ან სადაც შეესაბამება ფინანსური აქტივების ნაწილი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოწერას ექვემდებარება როდესაც:

- ✚ აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა;
- ✚ კომპანიამ აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება გადასცა, ან უფლება დაიტოვა, მაგრამ აიღო ვალდებულება „გადაცემის წესის“ საფუძველზე სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს მნიშვნელოვანი დაგვიანებების გარეშე; და კომპანიამან (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, ან (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, თუმცა გადასცა აქტივების კონტროლი.

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება, როდესაც გადაიცემა და გადაცემა წარმოადგენს ჩამოწერას. გადაცემა მოითხოვს, რომ კომპანიამ ან: (ა) გადასცეს აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების კონტრაქტით გათვალისწინებული უფლება მესამე მხარეს; ან (ბ) იტოვებს უფლებას, მაგრამ იღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას გადაუხადოს მესამე მხარეს ეს ფულადი სახსრები. გადაცემის შემდეგ კომპანია აფასებს გადაცემული აქტივის ფლობისას მიღებულ მოგებასა და ზარალს. თუ ძირითადად ყველა

მოგება დაზარალი რჩება, მაშინ აქტივი აისახება ბალანსში.თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი გადაეცემა, მაშინ ხდება აქტივის ჩამოწერა.თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი არც გადაეცა და არც შენარჩუნდა, კომპანია აფასებს რამდენად შეინარჩუნა აქტივის კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ კონტროლი არ შენარჩუნდა აქტივი ექვემდებარება დაქვითვას. იმ შემთხვევებში, სადაც აქტივის კონტროლი შენარჩუნებულ იქნა იგი აგრძელებს აქტივის აღიარებას მისი უწყვეტი მონაწილეობის გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ჩამოწერას ექვემდებარება, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა ნარჩენ ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის უწყისში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მყიდველებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული საქონლის ღირებულების მოთხოვნებისაგან. მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება -ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან ასახულია მოთხოვნებს გამოკლებული უიმედო ვალები.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას. კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმო სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს ასახავს უწყვეტი აღრიცხვის საშუალებით, ხოლო ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ანუ საშუალო ფასთა მეთოდით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის.

სასაქონლო მარაგების ღირებულება მოიცავს შემენის და მათ ადგილზე და პირობებში მიტანისას გაწეულ ხარჯებს.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენა უნდა ხდებოდეს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები და ცვეთა

კომპანიას ძირითადი საშუალებების მიმართ არჩეული აქვს გადაფასების მოდელი, რაც გულისხმობს შემდეგს: „აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული, რომლის რეალური ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, უნდა აისახოს გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით გადაფასება რეგულარულად უნდა ტარდებოდეს იმისთვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს“.

გადაფასების თარიღისათვის ასებული დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, ხოლო სხვაობის თანხა გადაიანგარიშება აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე. გადაფასების თანხა აისახება გადაფასების რეზერვში. შესწორებული თანხა რომელიც, წარმოიშობა დაგროვილი ცვეთის გადაფასებით ან იგნორირების შემთხვევაში, შეადგენს აქტივის საბალანსო ღირებულების ზრდის ან შემცირების თანხის ნაწილს.

კომპანია ძირითად საშუალებებს ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობა-ნაგებობები	5%
ოფისისა და ჭურვილობა	20%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
სატრანსპორტოსაშუალებები	20%
არამატერიალური აქტივები	15%

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალებების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება. როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

ძირითადი საშუალებების გადაფასების ნებისმიერი მეტობა ემატება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ახდენს იმ აქტივის გადაფასების კლების უკუქცევას, რომელიც უწინ აღიარებული იყო მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც პირდაპირ აბათილებს იმავე აქტივის მეტობას ბათილდება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობით.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში ასახვა ხორციელდება გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილი ცვეთისა და თავდაპირველი ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილ ცვეთას შორის სხვაობისათვის. ამასთან, გადაფასების დღისთვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში და გადაფასებული აქტივი ხელახლა აისახება წმინდა ღირებულებით. გადაცემისას, კონკრეტულ გაყიდულ აქტივთან

დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდი აღირიცხება, როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის, რომელშიც გამოცხადდა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდევი.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომელებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომელებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა არსებობს იმის ალბათობა, რომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე

განსხვავებული განმარტებები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი ჯგუფზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

საგადასახადო დაბეგვრა

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს, სამემოსავლო-20%, დღგ-18%-ს.

გადასახადების გამოთვლა და გადახდა ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიხედვით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდში არ წარმოქმნილა გადავადებული გადასახადი ან საგადასახადო აქტივი.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

სხვა შემოსავლები

ჯგუფის სხვა შემოსავალს წარმოადგენს საიჯარო შემოსავალი, კურსთაშორის სხვაობიდან შემოსავალი, საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება

ჯგუფი გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- ✚ საკრედიტო რისკი
- ✚ ლიკვიდურობის რისკი
- ✚ საბაზრო რისკი:

- 1) სავალუტო რისკი;
- 2) საპროცენტო განაკვეთის რისკი;

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიბმული იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში N24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა და წარმოადგენენ: (ა)კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ კომპანიას, კონტროლდებიან მის მიერ ან კომპანიასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები); (ბ)მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას; (გ)ერთობლივი საწარმო, სადაც კომპანია არის დამფუძნებელი; (დ)კომპანიის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა; (ე)ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

ე.ი. ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე.

შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

-  უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს;
-  უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურებისშეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს დამფუძნებლებისთვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

გაუთვალისწინებელი გარემოებები დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის უძრავ ქონებაზე,

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე არაა დაზღვეული თანამშრომლების ჯანმრთელობა.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადექვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ/შ _____ გიორგი ზღუდაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე _____ ალექსანდრე ცერცვაძე

ბუღალტერი _____ ზურაბ ძეგისაშვილი

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს დამფუძნებლებისთვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

გაუთვალისწინებელი გარემოებები დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის უძრავ ქონებაზე,

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე არაა დაზღვეული თანამშრომლების ჯანმრთელობა.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ/შ

გენერალური დირექტორის მოადგილე

ბუღალტერი



გიორგი ზღუდაძე

ალექსანდრე ცერცვაძე

ზურაბ ძეგისაშვილი

შპს “თბილავიამშენი“
ს/კ 206125496

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

შპს „თბილავიამშენი“ წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სტრუქტურა, უფლებამოსილება და მართვის ორგანიზება განსაზღვრულია წესდებით. უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა საერთო კრება, რომლის უფლებამოსილება განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით და წესდებით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თბილავიამშენი რეგისტრირებულია ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ 10.03.2003 წ. №7/4-2293 დადგენილებით.

შპს „თბილავიამშენის“ 2021 წლის კონსოლიდირებულ მმართველობით და ფინანსურ ანგარიშგებაში შესულია შპს „თამ კერა“ (ს/კ: 206274529) რომლის მარეგისტრირებელი ორგანოა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია და სს „თამ თბილავიამშენი“ (ს/კ: 206274529) რომლის მარეგისტრირებელი ორგანოა ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლო. საწარმოების იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი 191.

საწარმოების ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სამხედრო და სამოქალაქო საავიაციო ტექნიკისა და შეიარაღების, სპეცპროდუქციის, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების და ფართო მოხმარების საქონლის დაპროექტება, დამზადება, გამოცდა, მოდერნიზაცია, რემონტი, ექსპლოატაცია, შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტი-იმპორტი, სასწავლო პროექტების წარმართვა, სამხედრო და სამოქალაქო საავიაციო ტექნიკისა და შეიარაღების სათადარიგო ნაწილების დამზადება, მიწოდება და მომსახურება. ავტოსატრანსპორტო და საჰაერო გადაზიდვები, მგზავრთა გადაყვანა, მათ შორის საერთაშორისო მარშრუტებით. საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის დაქირავება-გაქირავება. წარმოების საშუალებების ლიზინგი, მათ შორის უცხოელი პარტნიორების მონაწილეობით. საბროკერო და დილერული ოპერაციების განხორციელება. სხვადასხვა სახის აირგამათბობლის ფართო მოხმარების საგნების და არასტანდარტული მოწყობილობების წარმოება და რემონტი.

2021 წელს ჯგუფის მთლიანმა შემოსავლებმა **16,899,395.00** ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წელს **43,701,186.00** ლარი. ასეთი კლება გამოწვეულია სს „თამ“ თბილავიამშენის მიმდინარე პროექტების 2022 წელში გაგრძელებასთან და მასთან დაკავშირებული შემოსავლების 2022 წელში მიღებასთან.

იქიდან გამომდინარე, შპს „თბილავიამშენი“ წარმოადგენს მენეჯმენტ კომპანიას, დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ღონისძიება, კორპორაციული ანგარიშვალდებულების ამალგების მიზნით:

- შემუშავდა ანგარიშგების სისტემა, რომლის ფარგლებშიც სს „თამ“ თბილავიამშენი და შპს „თამ-კერა“, დამტკიცებული ფორმის შესაბამისად კვარტალში ერთხელ შპს „თბილავიამშენს“ წარუდგენენ შემდეგ ინფორმაციას: მიმდინარე, შეწყვეტილ და დასრულებულ პროექტზე, ქონების განკარგვის და გადაცემის შესახებ მიმდინარე და დასრულებულ ხელშეკრულებებზე, მიმდინარე სააღსრულებო და სასამართლო წარმოებებზე, საანგარიშო პერიოდში კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად საშუალებებზე, უძრავ ქონებებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, ლიცენზიებსა და ნებართვებზე, კრედიტორულ დავალიანებებზე და დებიტორულ მოთხოვნებზე, კომპანიაზე რიცხულ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკაზე, შრომით ხელშეკრულებებზე;
- შემუშავდა, სს „თამ“ თბილავიამშენის და შპს „თამ-კერას“ ბიზნეს-გეგმის დამტკიცების და ფინანსური ანგარიშგების წესი;
- დამტკიცდა, სს „თამ“ თბილავიამშენის და შპს „თამ-კერას“ ბიზნეს გეგმა;

- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცდა შპს „თბილავიამშენის“ ბიზნეს გეგმა;
- საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული იქნა დადგენილება, „შპს „თბილავიამშენის“ და მისი შვილობილი საწარმოების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“;
- შპს „თბილავიამშენის“ მიერ გამოიცა ბრძანება, სს „თამ“ თბილავიამშენის და შპს „თამ-კერას“ კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ქონების განკარგვისა და ელექტრონული აუქციონის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ჩატარებული იქნა აქციონერთა/პარტნიორთა კრებები, სადაც განხილულ იქნა დირექტორის/გენერალური დირექტორის ანგარიშები და მიღებული იქნა კონკრეტული გადაწყვეტილებები;
- განხორციელდა დებიტორული დავალიანებების ამოღება და კრედიტორული ვალდებულებების გასტუმრება;

ასევე, გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 2021 წელს გაწეულ იქნა ცალკეული მომსახურება. მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რჩება მთელი რიგი უპირატესი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არსებით გავლენას მოახდენს შემდგომში კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზე.

რისკების მართვა ხორციელდება უმაღლესი მენეჯმენტის მიერ. უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. ხელმძღვანელობას მთავარ მიზნად დასახული აქვს სისტემატურად შეიმუშავოს და აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკებს და უარყოფითად არ იმოქმედებს საზოგადოების საქმიანობაზე.

კომპანია აქტიურად მუშაობს ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას, თუკი მენეჯმენტი არ გააკონტროლებს მსგავსი სახის რისკებს ვადიანობის ანალიზის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს საწარმოს სტრატეგიას მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესს.

ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკება ახალ მოძიებულ კლიენტთან სამხედრო ავიაციის სფეროში ხელშეკრულების გასაფორმებლად, რაც დამატებითი შემოსავლების აკუმულირების და კომპანიის წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრის საშუალებას იძლევა.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ/შ _____ გიორგი ზღუდაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე _____ ალექსანდრე ცერცვაძე

ბუღალტერი _____ ზურაბ ძეგისაშვილი

- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცდა შპს „თბილავიამშენის“ ბიზნეს გეგმა;
- საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული იქნა დადგენილება, „შპს „თბილავიამშენის“ და მისი შვილობილი საწარმოების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“;
- შპს „თბილავიამშენის“ მიერ გამოიცა ბრძანება, სს „თამ“ თბილავიამშენის და შპს „თამ-კერას“ კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ქონების განკარგვისა და ელექტრონული აუქციონის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ჩატარებული იქნა აქციონერთა/პარტნიორთა კრებები, სადაც განხილულ იქნა დირექტორის/გენერალური დირექტორის ანგარიშები და მიღებული იქნა კონკრეტული გადაწყვეტილებები;
- განხორციელდა დებიტორული დავალიანებების ამოღება და კრედიტორული ვალდებულებების გასტუმრება;

ასევე, გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 2021 წელს გაწეულ იქნა ცალკეული მომსახურება. მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რჩება მთელი რიგი უპირატესი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არსებით გავლენას მოახდენს შემდგომში კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზე.

რისკების მართვა ხორციელდება უმაღლესი მენეჯმენტის მიერ. უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. ხელმძღვანელობას მთავარ მიზნად დასახული აქვს სისტემატურად შეიმუშავოს და აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკებს და უარყოფითად არ იმოქმედებს საზოგადოების საქმიანობაზე.

კომპანია აქტიურად მუშაობს ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას, თუკი მენეჯმენტი არ გააკონტროლებს მსგავსი სახის რისკებს ვადიანობის ანალიზის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს საწარმოს სტრატეგიას მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესს.

ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკება ახალ მოძიებულ კლიენტთან სამხედრო ავიაციის სფეროში ხელშეკრულების გასაფორმებლად, რაც დამატებითი შემოსავლების აკუმულირების და კომპანიის წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრის საშუალებას იძლევა.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მ.მ. გიორგი ზღუდაძე
 გენერალური დირექტორის მზადგმელი ალექსანდრე ცერცვაძე
 ბუღალტერი ზურაბ ძეგისაშვილი



(Handwritten signatures of Giorgi Zhugadze, Alexander Tseretseba, and Zurab Degishvili)